MONEY-LANDING ACTIVITY OF THE TUMANISHVILIS IN 60S YEARS OF XVII CENTURY AND 30S YEARS OF XIX CENTURY

თუმანიშვილების სამევახშეო საქმიანობა XVII ს. 60-იან-XIX ს. 30-იან წლებში

REZO MARNADZE
PHD student of Sokhumi State University
ORCID: 0000-0002-3203-2328
rezomarnadze@gmail.com
+995557387897

Abstract

In result of the collapse the royal of Georgia in the II half of XV, among the feudal lords formed in Kartli, from economic point of view the the noble of Tumanishvilis was one of the strong, what was partially determined by trade-usury business of them. Usuries Tumanishvilis were so famous in Georgia, that their borrowers were from various parts and social status of the country, including royal family members. In the present article, based on the obvious documental sources ad scientific literature, we have attempted to study the money-lender business of Tumanishvilis noble house members in 60s years of XVII century, and 30-years of XIX century by the various directions. There is analyzed in this article: Tumanishvilis, as strength of the usurers, their contribution in the feudal epoch of Georgia as well by the direction of the monetary-credit relations development, the reasons of the frequent addressing of the borrowers; their business features in the credit sphere. In the thesis there is clarified the identity of Tumanishvilis involved in usury and their borrowers social circle.

The key words: Usurer, Loan, Interest, Mortgage, promissory note, The Tumanishvilis

რეზო მარნაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი
ORCID: 0000-0002-3203-2328
rezomarnadze@gmail.com
+995557387897

აბსტრაქტი

XV საუკუნის II ნახევარში საქართველოს სამეფოს დაშლის შედეგად, ქართლში ჩამოყალიბებულ საფეოდალოთა შორის თუმანიშვილების სათავადო ეკონომიკური თვალსაზრისით, ერთ-ერთი ძლიერი იყო, რასაც ნაწილობრივ მათი სავაჭრო-სამევახშეო საქმიანობა განსაზღვრავდა. მევახშე თუმანიშვილები იმდენად ცნობილები იყვნენ საქართველოში, რომ მათი ვალი ქვეყნის სხვადასხვა მხარისა თუ სოციალური ფენის წარმომადგენელს ემართა, მათ შორის სამეფო ოჯახის წევრებსაც. წინამდებარე სტატიაში დამოწმებული დოკუმენტური წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე ვცადეთ შეგვესწავლა XVII ს. 60-იან-XIX ს. 30-იან წლებში, თუმანიშვილების სათავადო

სახლის წევრთა სამევახშეო საქმიანობა სხვადასხვა კუთხით. სტატიაში გაანალიზებულია: თუმანიშვილების, როგორც მევახშეების სიძლიერე და მათი წვლილი ფეოდალური ხანის საქართველოში ფულად-საკრედიტო ურთიერთობების განვითარების მხრივ; მსესხებლების ხშირი მიმართვინობის მიზეზები; საკრედიტო სფეროში საქმიანობის თავისებურებები. ნაშრომში გარკვეულია მევახშეობაში ჩართული თუმანიშვილების ვინაობა და მათი მევალეების სოციალური წრე.

ძირითადი საკვანძო სიტყვები: მევახშე, სესხი, პროცენტი, გირაო, თამასუქი, თუმანიშვილები.

შესავალი

ფეოდალური ხანის საქართველოში ფულად-საკრედიტო ორგანიზაციები არ არსებობდა, თუმცა იყვნენ ფულადი სესხის გამცემი კერძო პირები. მევახშეობამ კაპიტალის დაბანდებასა და მის ბრუნვას შეუწყო ხელი. XVIII საუკუნის II ნახევარში ფეოდალური საქართველოს სოციალურ–ეკონომიკური ურთიერთობები ახალ ფორმაციაზე გადავიდა და მევახშეობამ, როგორც ფულად–სასაქონლო ურთიერთობის ერთ–ერთმა ტიპმა, დიდ მასშტაბებს მიაღწია. ამ საქმიანობას ძირითადად ვაჭრები, თუმცა ხშირად თავადაზნაურთა წარმომადგენლებიც მისდევდენ. ვაჭრობა-მევახშეობაში საკმაოდ ცნობილები იყვნენ თავადი თუმანიშვილები.

ქართულ ისტორიოგრაფიაში თუმანიშვილების სამევახშეო საქმიანობის შესწავლას არაერთი მკვლევარი შეეხო [აკოფაშვილი, 1980; კაშია, 1990; სანაძე, კაშია, 1992; კაშია, 2006; კაშია, 2012; გვრიტიშვილი, 1954; მამისთვალიშვილი, 2018ა; მესხია, 1983] თუმცა, ისინი ძირითადად მსხვილი მევახშე ძმების - მანუჩარ და სულხან თუმანიშვილების შესახებ მოგვითხრობენ. აღნიშნულიდან გამომდინარე, დღემდე, თუმანიშვილების საკრედიტო საქმიანობა ჯეროვნად შესწავლილი არ არის.

წინამდებარე სტატიით შევეცადეთ სამეცნიერო პუბლიკაციებისა და დოკუმენტური წყაროების საფუძველზე თუმანიშვილების სამევახშეო საქმიანობა კომპლექსურად შეგვესწავლა, კერძოდ დაგვედგინა: მევახშე თუმანიშვილების ვინაობა და მევალეების სოციალური წრე; საკრედიტო სფეროში და მევალეებთან ურთიერთობის სპეციფიკური მახასიათებლები; ფეოდალური ხანის საქართველოში ფულად-საკრედიტო ურთიერთობების განვითარების მხრივ შეტანილი წვლილი; გაგვეგო თუმანიშვილებისადმი მსესხებლების ხშირი მიმართვიანობის მიზეზები.

მეთოდები

წინამდებარე კვლევა ეფუძნება კომპლექსურ მიდგომას და გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: აღწერითი, ისტორიულ–შედარებითი, მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი, აბსტრაქცია, სინთეზი.

შედეგები

1. თუმანიშვილები აქტიურად იყვნენ ჩართულები ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში და XVII საუკუნიდან დაინტერესებულები სავაჭრო ოპერაციებით, რამაც ,,კაპიტალის

დაგროვება'' გამოიწვია. მათი ოჯახები XVIII საუკუნის II ნახევრიდან მსხვილ ფინანსურ არისტოკრატიის რიგებში იყვნენ და ქართლ-კახეთის ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარების პროცესში მონაწილეობდნენ.

2. მოკვლეული მასალების საფუძველზე დადგენილია თუმანიშვილების ფეოდალური სახლის ათეულობით წარმომადგენელი, რომლებიც მევახშეობდნენ. მათ შორის სასულიერო პირი თბილისის მოტროპოლიტი ქრისტეფორე თუმანიშვილი - მანუჩარ ლაშქარნივისის გარეშე ბიძა. თუმანიშვილები მევახშეობდნენ ეკლესიის ქონებითაც

3. ფეოდალურ ხანაში, კაპიტალის დაბანდების პროცესში თუმანიშვილებმა დიდი წვლილი შეიტანეს. აღმოსავლეთ საქართველოში თუმანიშვილები იმდენად ძლიერი მევახშეები იყვნენ, რომ მათთან ფინანსური ურთიერთობა ჰქონდათ, სამეფო სახლის წარმომადგენლებს, ქართულ ფეოდალურ არისტოკრატიას, სავაჭრო ამხანაგობის წევრებს და სხვ.

4. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ მევახშე თუმანიშვილები ვალის აღების მსურველებს დაბალ საპროცენტო განაკვეთს სთავაზობდნენ, რაც მათდამი მსესხებლების ხშირი მიმართვიანობის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა ყოფილიყო. სამევახშეო ოპერაციები ხორციელდებოდა თუმანიშვილების ოჯახის წევრებს შორისაც.

5. დოკუმენტებიდან გამომდინარე დგინდება, რომ მევალეები ზოგჯერ მევახშე თუმანიშვილებს თამასუქით განსაზღვრულ ვალს ვერ/არ უბრუნებდნენ, რაც დავის საგანი ხდებოდა. ასეთ შემთხვევაში თუმანიშვილების საკუთრებაში გადადიოდა მათთან მევალის დაგირავებული ქონება. ამ გზით თუმანიშვილებმა დიდი ქონების ხელში ჩაგდება მოახერხეს.

6. წყაროებზე დაკვირვების შედეგად ნათელი ხდება, რომ თუმანიშვილები მონეტის დევალვაციის მოსალოდნელი საფრთხის გამო, გასესხებული თანხის დაკარგვისაგან თავს იზღვევდნენ და თამასუქებს აფორმებდნენ ე.წ. ,,ვერცხლის დათქმით'', რაც მიანიშნებს, რომ თუმანიშვილები წინდახედული კრედიტორები იყვნენ.

7. წინამდებარე სტატიაში განხილული ისტორიული საბუთების მიხედვით, მევახშე თუმანიშვილებსაც უწევდათ სესხის აღება, თუმცა ზოგჯერ აღებულ ვალებს არ იხდიდნენ და საკრედიტო პირობებს არღვევდნენ.

დისკუსია

ცნობილია, რომ ფულის სესხად გაცემის მიზანი პროცენტის (სარგებლის) მიღებაა, პროცენტით მევახშის ხელში მოქცეული ფული კი დაბანდებული კაპიტალი, რომლის გაჩენაც ფეოდალური ურთიერთობის რღვევის ნიშანი იყო. გვიან ფეოდალური ხანის საქართველოში, კაპიტალის დაბანდების პროცესში გარკვეული წვლილი შეიტანეს თავადმა თუმანიშვილებმა. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართულები ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში და XVII საუკუნიდან დაინტერესებულები იყვნენ სავაჭრო-სამევახშეო ოპერაციებით, რამაც ,,კაპიტალის დაგროვება'' გამოიწვია. XVIII საუკუნის II ნახევარში, როცა ქართულმა ფეოდალურმა ურთიერთობებმა ფორმა შეიცვალა და სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებში მეწარმეობითი ინტერესები გააქტიურდა, ეკონომიკურ სფეროში გამოცდილი თუმანიშვილთა სახლის წარმომადგენლები მსხვილი ფინანსური არისტოკრატიის რიგებში მოექცნენ და ქართლ-კახეთის ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ.

კაპიტალის დაგოვების პროცესი ფეოდალურ საქართველოში განსაკუთრებით შესამჩნევია XVIII ს. შუა ხანებიდან. გ. აკოფაშვილის მტკიცებით: ,,მევახშეობა... XVIII ს.

მეორე ნახევარში საქართველოში მანამდე არყოფილ უაღრესად ფართო მასშტაბს ღებულობს…საბუთების რაობის თვალსაზრისით ჩვენს მიერ საგანგებოდ შესწავლილ XVII და XVIII სს. 5000 საბუთიდან თამასუქების, ვალის, გირავნობის წიგნთა საერთო რიცხვია 180. აქედან XVII საუკუნეს ეკუთვნის მხოლოდ 1 თამასუქი, XVIII ს. პირველ ნახევარს 55, ხოლო XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა და გამოდგა 124 თამასუქი... ამათგან, 1751-75 წლებისაა 31 თამასუქი, ხოლო დანარჩენი 93, ე.ი. 3-ჯერ მეტი, XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა. როგორც ვხედავთ, ციფრები თვალსაჩინოა'' (აკოფაშვილი, 1980: 121).

თუმანიშვილები მევახშეობით დაინტერესებულები XVII 60-80-იან წლებიდან ჩანან და კრედიტორებად პირველად ჯიმშიტა, ზურაბ და გივი გვევლინებიან. (საქართველოს სიძველენი, 1910: 568; პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1993: 324, 326, 337).

1703-1714 წწ. ვალის თაობაზე შედგენილი განჩინების თანახმად, მევახშეობდა ლიპარიტ თუმანიშვილი (ქართული სამართლის ძეგლები, 1972: 268).

მევახშეობდა ზაქარია თუმანიშვილიც, 1719 წლის 7 სექტემბერს გაცემულ თამასუქში ვკითხულობთ: ,,ავიღე მე ხეჩიკას შვილმან ბეჟუამან...თუმანის შვილის ზაქარიასაგან ოთხი მარჩილი თეთრი, რაც ხანს ჩვენს ხელთ დაჰყოს წელიწადში მარჩილის თავს ორი შაური სარგებელი მოგცე'' (სეასცა. 1450-46/147).

ზემოთ დასახელებული პირების გარდა, მევახშეობდა თუმანიშვილების ფეოდალური სახლის არაერთი წარმომადგენელი: მდივანი იოსებ (უჩანეიშვილი, 1967: 68; 101-102; მასალები.., 1953: 48-49, 51, 91, 96), მისი ძე მდივანი დიმიტრი (უჩანეიშვილი, 1967: 103-104), დავით ეგნატის ძე (მასალები, 1953: 211), კოლესკი სოვეტნიკი თავადი გიორგი ეგნატის ძე (სეასცა. 1448/6645), გიორგი ბეჟანის ძე (მასალები.., 1953: 60), ყარდაშა (სეასცა. 1450-46/190), მდივანი გორჯასპი (ლაშქარნივის მანუჩარ თუმანიშვილის მამა) (მასალები..., 1953: 40), შიოშ (სეასცა. 1450-52/110; სეასცა. 1450-25/5), პაპუა (მასალები.., 1953: 57), ნიკოლოზ (მასალები.., 1953: 101), ქარმიშ (ქრისტეფორე თბილელი) (მასალები.., 1953: 45-46; სეასცა. 1448/1389) და სხვ.

თუმანიშვილთა შორის ეკონომიკური სიძლიერით გამორჩეული მევახშეები იყვნენ ძმები - ლაშქარნივისი მანუჩარი (უჩანეიშვილი, 1967: 109; 91-92; 95-96; მასალები.., 1953: 55; 58-60; 62; 65; 70-71; 79-80; 87-88; 97-98; 114-115; 141; 157; 163; 166; 174) და სულხან მდივანი (მასალები.., 1953: 54-55; 72; 102; 113).

ვალად გაცემული თანხების ოდენობის მიხედვით, XVIII საუკუნის მეორე ნახევარში თუმანიშვილებს შორის, მსხვილ მევახშედ მანუჩარს ასახელებს გ. აკოფაშვილი. საინტერესოა, მისი სტატისტიკა მანუჩარ თუმანიშვილის თამასუქების ორი ნუსხის საფუძველზე. 1776-1798 წლების მანძილზე მანუჩარს ჯამში 17 ათას მანეთზე მეტი ჰქონია გაცემული სესხად, 1776-83 წწ. 1702 მანეთი, 1784-91 წწ. 5874, ხოლო 1792-98 წწ. 9624. (აკოფაშვილი, 1980: 121).

საინტერესოა, სულხან და მანუჩარ თუმანიშვილების სამევახშეო საქმიანობის შეფასება შ. მესხის მიერ: ,,მსხვილ სავაჭრო-საკრედიტო ოპერაციებში მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე თავადებიც. ამ მხრივ გვიანფეოდალურ საქართველოში თუმანიშვილების გვარი (სახლი) გამოირჩეოდა...თუმანიშვილები მსხვილ საკრედიტო ოპერაციებსაც აწარმოებდნენ: მაგ., მანუჩარ თუმანიშვილს, როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, 1760 წლიდან 1802 წლამდე, სხვადასხვა პირზე გასესხებული ჰქონია 3154 თუმანზე (31540 მან.) მეტი თანხა. ასევე საკრედიტო ოპერაციებს აწარმოებდა მისი ძმა სულხანი, რომელსაც სესხად 680 თუმანი (6.800 მან.) ჰქონდა გაცემული'' (მესხია, 1983: 264-265).

აღსანიშნავია, რომ მანუჩარ თუმანიშვილს სამევახშეო საქმიანობაში ჩართული ჰყავდა თავისი და მაია. დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ თავნი ანუ სავაჭრო ოპერაციის ჩატარებისთვის ძირითადი საბრუნავი თანხა მანუჩარს ეკუთვნოდა, ხოლო თამასუქი მაიას სახელზე ფორმდებოდა. XVIII ს. მიწურულს შედგენილ ერთ-ერთ ვალების ნუსხაში

მანუჩარი წერს: ,,...თამასუქი ჩემის დის მაიას სახელზედ არის დაწერილი, მაგრამ თეთრი ჩემია'', ამგვარი შინაარსის მინაწერი ახლავს თვითონ თამასუქსაც (მასალები.., 1953: 104-105; 131). თუმცა, მაია თუმანიშვილი დამოუკიდებლადაც მევახშეობდა, ის 1794 წლის 1 მაისს ისე გასცემს სესხს, რომ თამასუქში მისი ძმა მანუჩარი საერთოდ არ იხსენიება (მასალები.., 1953: 107).

რამდენიმე საბუთით დასტურდება მანუჩარ თუმანიშვილის პირველი მეუღლის - ხანუმის სამევახშეო საქმიანობა, ხოლო გარდაცვალების შემდეგ[1] 1790 წელს, მისი თანხის სავახშო სფეროში საბრუნავ თანხად გამოყენება მანუჩარის მიერ (მასალები.., 1953: 85; 86-87; 129). მევახშეობდა მანუჩარ თუმანიშვილის მეორე მეუღლე ელისაბედ აბიმელიქოვიც: ,,ავიღე მე გულასპანთ მირზას შვილმა შაქარამ თქჳნ თავადის მანუჩარ დივან თუმანოვის კნეინა ელისაბედ აბიმელიქოვისაგან თვრამეტი თუმანი'' - აღნიშნულია 1813 წლის 10 სექტემბერს გაცემულ თამასუქში (სეასცა. 1450-56/105). კნეინა ელისაბედმა თამსუქით თანხა გასცა 1815 წლის 1 მაისსაც (სეასცა. 1450-56/104).

1813 წლის თამასუქით დგინდება, რომ სამევახშეო საქმიანობას ეწეოდა სულხან თუმანიშვილის მეუღლე მარიამიც ,,...ავიღე მე...ტიფლისის მოქალაქე დანელ მატინოვმა თქვენ კოლესკის სოვეტნიკის თავადის სულხან თუმანოვის კნეინა მარიამისაგან სამოცდა ოთხი თუმანი ხუთი მინალთუნი...'' (სეასცა. 1450-41/160).

ზოგჯერ სულხან და მანუჩარ თუმანიშვილები, ერთობლივად ერთი თამასუქის საფუძველზე გასცემდნენ სესხს ამა თუ იმ პირზე. მაგალითად, 1786 წლის 1 ოქტომბერს უზბაშმა გოგია გურამიშვილმა თამასუქი მისცა ძმებს - სულხან და მანუჩარ თუმანიშვილებს და 5 თუმანი ისესხა (მასალები.., 1953: 69-70). 1794 წლის 12 ივნისს კი მევახშე ძმებმა სულხანმა და მანუჩარმა ერთობლივად სესხი გასცეს ოჰანეზაშვილებზე (მასალები.., 1953: 110).

მანუჩარისა და სულხანის გარდა, მსხვილ კრედიტორად ჩანს შიოშ თუმანიშვილი, რომელიც სოლიდურ თანხებს გასცემდა სესხად. მაგალითად, 1808 წლის 1 თებერვალს შედგენილ თამასუქში ვკითხულობთ: ,,ავიღე... მიკირტუმ მუნოთოვმა თქჳნ თავადს შიოშა თუმანოვსაგან რვას ორმოცდა ათი დანა თეთრი რუსის მანეთი'' (სეასცა. 1450-52/110).

თუმანიშვილები მევახშეობდნენ ეკლესიის ქონებით (ქრისტეფორე თბილელის გარდაცვალების შემდეგ მისი დანატოვარი ხელთუბნის წმინდა მოციქულთა ეკლესიის ასაშენებელი თანხა ერეკლე II -მ თუმანიშვილებს მისცა, რომელსაც საავჭრო-სამევახშეოდ იყენებდნენ [სეასცა, ფ. 1450, დავთ. 25, ს. 112]), რაც მათთვის დამატებითი შემოსავლის წყარო იყო. 1787 წლის 1 მაისს მდივანმა სულხან თუმანიშვილმა სახლთუხუცეს ზაქარია ციციშვილს ასესხა ,,ქრისტეფორე თბილელის საყდრის თეთრი ასი თუმანი'' [სეასცა, ფ. 1450, დავთ. 25, ს. 112]. 1794 წლის 12 ივნისს სულხან და მანუჩარ თუმანიშვილებს მევალე თამასუქით ასეთ პირობას აძლევს: ,,...რვა თვე ვადამდინ თქვენი ეკლესიის თეთრი ულაპარაკოთ არ მოგართოთ და თუ ვადა გადასცილდეს, თუმანზე ორი შაური სარგებელი ეკლესიას მივართვათ...'' (მასალები.., 1953: 110).

საინტერესოა, რომ 1812 წლის 13 ივნისის საბუთის თანახმად, სოფ. ხელთუბნის ეკლესიას 1784-1795 წწ. სხვადასხვა პირზე სესხად გაუცია 349 თუმანი და 6 მინალთუნი. ეკლესიის ვალი ჰქონია გიორგი XII-საც, რადგან საბუთში ეგნატი თუმანიშვილი წერს: ,,მე და დიმიტრი მდივანი მივედით ფითუაშვილს აღასთან და ხევთუბნის ეკლესიის თეთრის თამასუქებისა ვკითხეთ: ,,განსვენებულის მეფის გიორგისა შენ რომ გებარა ის თამასუქები და ან იმ თამასუქების თეთრის საქმე როგორ მოხდა''? (მასალები.., 1953: 200-201).

კაპიტალის დაბანდების მიზნით, მევახშე თავის სასარგებლოდ იყენებდა ყოველგვარ უბედურებას (შიმშილობა, ჟამიანობა, მოუსავლიანი წლები და სხვ.), რაც გამოუვალ

[1] მანუჩარ თუმანიშვილის I მეუღლე ხანუმი გარდაიცვალა 1788 წლის 17 აპრილს (მასალები.., 1938: 89)

მდგომარეობაში აყენებდა საზოგადოებას. აღა-მაჰმად ხანის შემოსევის შედეგად, ქვეყანაში შექმნილ მძიმე ვითარებაშიც კი თუმანიშვილები სავაჭრო-სამევახშეო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდნენ და გადამწვარი დედაქალაქისა და სამშობლოს ბედი არ ანაღვლებდათ. 1795 წ. 8 ოქტომბერს შიოშ თუმანიშვილი თიანეთიდან სულხან და მანუჩარ თუმანიშვილებისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: ,,თუ იშოვნოთ, ცოტა თეთრი წამოიღე ქალაქისა. კარგი დრო არის, ეგების ცოტათი ბევრი ვიშოვოთ'' (ბერძნიშვილი, 1965: 124).

ბუნებრივია, თუმანიშვილებმა აღებული თამასუქების საფუძველზე იცოდნენ თუ ვის ჰქონდა მათი ვალი. თუმცა, თამასუქებზე დაყრდნობით ანგარიშის, ვალების ნუსხების შედგენით მანუჩარი გამოირჩეოდა. მის შესახებ მ. ბერძნიშვილი წერდა: ,,მანუჩარი XVIII საუკუნის საქართველოს ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა. ესაა მეტისმეტად აკურატული სიზუსტისა და ანგარიშის მოყვარული ადამიანი. სწორედ მისმა ამ თვისებებმა განსაზღვრეს ის, რომ XVIII ს-დან ჩვენ შემოგვრჩა, უამრავი დოკუმენტური მასალა, - მანუჩარის ხელით შესრულებული თუ მანუჩარისაგან მოგროვილი,- ხარჯის ნუსხები, ხელწერილები, ქონების სიები, წერილები თუ სხვა'' (ბერძნიშვილი, 1965: 123). ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ თამასუქებიდან გამომდინარე დაანგარიშებული ვალების ნუსხებიდან ვარკვევთ თუ ვის ჰქონდა მანუჩარ თუმანიშვილთან ფინანსური ურთიერთობა და რადგან მათი რაოდენობა მრავალრიცხოვანია (მასალები.., 1953: 64-65) ყველა მათგანის განხილვა შორს წაგვიყვანდა. მაგალითად, 1808 წელს მანუჩარს შეუდგენია ვინმე არაქელა ტერტერაშვილის მიერ 1784-1808 წწ. აღებული ვალის ნუსხა და სარგებლის ანგარიში (უჩანეიშვილი, 1967: 162; მასალები.., 1953: 184).

თუმანიშვილები იმდენად ძლიერი და ცნობილი მევახშეები იყვნენ, რომ მათთან ფინანსური ურთიერთობა ჰქონდათ აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ: თბილისის, გორის, ცხინვალის, ,,სამცხეთო დარბაზელ'', ახალციხის, ერედვის, მეჯვრისხევის, ახალდაბის, ხელთუბნის, ავჭალის და სხვ. მაცხოვრებლებს (მასალები.., 1953: 48-49; 51; 55; 56; 58-59; 77-78; 80-84; 86-87; 125; 130; 133; 142; 166; 170-172; 212-213; 232-233; უჩანეიშვილი, 1967: 109). ,,ჭრელი იყო თუმანიშვილების მევალეთა სოციალური შემადგენლობაც. მათი მევალეები იყვნენ გლეხები, მოქალაქეები, ძირითადად ხელოსნები და ვაჭრები, ვაჭართა ამხანაგობები, თავადაზნაურული არისტოკრატია, ბატონიშვილები და თვით მეფეც კი'' (კაშია, 2012: 80).

მანუჩარ თუმანიშვილს 1798 წლის ახლო ხანებში შეუდგენია თამასუქით ასაღები თანხის ნუსხა, რაც ჯამურად 887 თუმანს, 20,5 მინალთუნს, 6 შაურს და 4 აბაზს შეადგენდა. ნუსხის მიხედვით, სხვადასხვა პირებთან ერთად მანუჩარის ვალი ემართათ თავად ქსნის ერისთავისშვილს,[2] ყაფლანიშვილს, გერმანოზიშვილს, მელიქიშვილს, ფავლენიშვილს, ჩოლოყაშვილს (მასალები.., 1953: 122-124). ამ ნუსხაში აღნიშნული პირები სხვა მსესხებლებთან ერთად შეტანილი აქვს მანუჩარ თუმანიშვილს, ამავე ხანებში დაწერილ კიდევ ერთ სესხის სიაში,[3] რომელიც უფრო ვრცელია. მასში მანუჩარი დეტალურად აღწერს თუ ვის, როდის და რა ოდენობის თანხა ასესხა, რა სარგებელს მოელის სანაცვლოდ, რა ქონება აქვთ დაგირავებული მსესხებლებს ვალის დაფარვამდე, ვინ დაუბრუნა სრულად ან ნაწილობრივ ვალი. სიის მიხედვით, თუმანიშვილების ვალი ჰქონდათ: ალმასხან და ლეონ ბატონიშვილებს[4], იულონ ბატონიშვილის ყმას, თავად ზაქარია ციციშვილს და სხვ (მასალები.., 1953: 124-133). ასევე, მანუჩარის მევალეები იყვნენ: თავადი როსტომ

[2] ელიზბარ ქსნის ერისთავიშვილს მანუჩარ თუმანიშვილის ვალი ჰქონდა ჯერ კიდევ, 1777 წლის ახლო პერიოდში შედგენილი დოკუმენტის თანახმად (მასალები.., 1953: 50-51)

[3] ნუსხა მანუჩარ თუმანიშვილს და მის ძმას სულხანს ეკუთვნის

[4] აღსანიშნავია, რომ 1781 წლამდე ლეონ ბატონიშვილს გარდაცვალების გამო, მანუჩარისაგან 1762, 1778, 1779, 1780 წლებში აღებული ვალების ნაწილი გადასახდელი დარჩა (მასალები.., 1953: 56). მისი ვალი 231 თუმანს უდრიდა (უჩანეიშვილი, 1967: 168-169).

ხიდირბეგიშვილი, სულხან გერმანოზიშვილის ყმა, მუხრანბატონის ყმა, იულონ ბატონიშვილის ყმა, ერეკლე II, ლაშქარნივისი ომან ხერხეულიძე (მასალები.., 1953: 134-138), თავადი მელიქიშვილი (მასალები.., 1953: 108), ფავლენიშვილები (მასალები.., 1953: 170) და სხვ.

მდივანი იოსებ თუმანიშვილისა და მისი შვილი დიმიტრისაგან ფულს სესხულობდა თავადი ვახტანგ ყაფლანიშვილი, რასაც მოწმობს 1791-92 წწ. მიცემული თამასუქები (მასალები.., 1953: 91,96; უჩანეიშვილი, 1967: 101-104). თუმანიშვილების მევალეები იყვნენ თავადი ორბელიანებიც (მასალები.., 1953: 232-233).

მანუჩარ თუმანიშვილთან ფინანსური ურთიერთობა ჰქონიათ ანტონ კათალიკოსსა და ფარნაოზ ბატონიშვილს, მათ სესხის კარგ გადამხდელებად ახასიათებდა მანუჩარი: ,,...საქართველოჲსა კათალიკოზს უფალს ანტონის, ვმსახურე, რომ არც ხელწერილი მქონდა. ჩემგან წანაღები რა ერთიც ჰქონდა, ვთხოვე და მიბოძა...აგრეთვე მეფის ძეს ფარნაოზს უბრძანებია სამსახური, აღმისრულებია და კიდეც უბოძებია...'' (მასალები.., 1953: 199). მანუჩარის მევალე იყო იოვანე ბატონიშვილი, რომელსაც 1808 წელს პეტერბურგში 196 თუმანი სესხად გაუგზავნა (მასალები.., 1953: 184-185).

სულხანთან საკრედიტო ურთიერთობა ჰქონდათ ციციშვილებს. 1790 წლის 20 აგვისტოს საბუთის თანახმად, ზაქარია ციციშვილს სულხან თუმანიშვილთან დაუგირავებია ძვირფასი ნივთები (ალმასის, იაგუნდის, ლალის, ზურმუხტის და სხვ. ბეჭდები). საბუთს ახლავს ერეკლე II-ის ოქმი, ციციშვილისადმი ნივთების სამაგიეროდ ყმა-მამულის მიცემის შესახებ (სეასცა. 1448/3009).

1794 წლის 20 ივლისის გირაოს მიბარების წიგნიდან ვიგებთ, რომ იოანე ციციშვილს მამამისის დაგირავებული ნივთები დაუხსნია სულხან თუმანიშვილისაგან: ,,მამებარა მე, ციცის-შვილს ივანეს, თქვენ, ბატონის სულხან მდივნისაგან, მამის ჩემის დაგირავებული ოთხმოცდათოთხმეტი მისხალი ოქროს ყაწიმი, რომ მამის ჩემის თამასუქშიაც ასრე გიწერია. ეს უკლებლათ მე მომბარდა'' (მასალები.., 1953: 113).

რ. კაშიას მტკიცებით: ,,საბუთებში თუმანიშვილების მევალეებად ყველაზე ხშირად გვევლინებიან ვაჭრები და სავაჭრო ამხანაგობები...სავახშო კაპიტალი მჭიდროდ უკავშირდებოდა სავაჭრო კაპიტალს. ვაჭარი ხშირად იყო დამოკიდებული მდიდარ მევახშეზე. სავაჭრო საქმის დასაწყებად ის იძულებული იყო აეღო კრედიტი, სავაჭრო ოპერაციების წარმატებით დასრულება კი მას აძლევდა ვალის გადახდის შესაძლებლობას'' (კაშია, 2012: 80).

აღსანიშნავია, რომ მევახშე თუმანიშვილებისგან ფულს სესხულობდნენ საკუთარი ყმებიც. მაგალითად, 1802 წლის 24 ნოემბერს მანუჩარ თუმანიშვილის მიერ შედგენილ მოვალეების სიაში ვკითხულობთ: ,,მეჯვრისხევს ჩემი ყმა მურადაშვილი დავითა დგას, იქ მიდი იმასთან, ის ჩემსას ერთს თუმანს არის მოსაცემს, გამოართვი'' (მასალები.., 1953: 170).

თუმანიშვილებისგან სესხს იღებდნენ სხვადასხვა გვარის ფეოდალთა ყმები. 1791 წლის 23 აპრილს ყმებმა მიმართეს მანუჩარ მდივანს წყალობის წიგნის დასაწერად და დასამწერლო მისგან ისესხეს: ,,ესე წიგნი მოგართვით ბატონს მდივანს მანუჩარს ჩვენ, გვარამაძე სოლომონმა და გრიგოლმა, ასე რომე ბატონმა წყალობა გვიყო...თქვენ განაჩენი უნდა დაგვიბეჭდინო და გვიბოძო. და თქვენს გასამრჯელოთ ერთი თუმანი თეთრი აბაზი მოგართვათ. რასაც ხანს ჩვენს ხელთ დაყოს, თვეში სამი შაური სარგებელი მოგართვათ...'' (მასალები.., 1953: 90).

თუმანიშვილებთან საკრედიტო ურთიერთობა ჰქონდათ თავიანთ ნათესავებსაც. მაგალითად მანუჩარისაგან თამასუქით სესხი აუღია თავის მოყვარეს - ტერ-შმოვანანთ სოლომონს, ამას ვიგებთ XVIII საუკუნის მიწურულს შედგენილი ვალების ნუსხიდან (მასალები.., 1953: 133) და 1802 წლის 1 იანვრის დოკუმენტიდან, რომელშიც წერია: ,,ავიღე მე, ტერ-შმოვანანთ სტეფანას შვილმან სოლომანამ, თქვენ, კნიაზ მდივანი მანუჩარ

თუმანოვისაგან, ოთხას ოცდა ცამეტი დანა ბაჯაღლუს ოქრო... რაც ხანს ჩემს ჴელთ დაჰყოს თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი მოგცე" (მასალები.., 1953: 168). მანუჩარისგან ფულს სესხულობდა თავისი ნათლიდედა (მასალები.., 1953: 136).

1776 წლის 21 სექტემბერს გიორგი (გოგია) თუმანიშვილმა ბიძაშვილს იოსებ მდივანს თამასუქი მისცა და სესხის გირაოდ თავისი ყმის მამული გააფორმა სოფ. ახალდაბაში: ,,ავიღე მე, ყარან-ბეჟანის-შვილმა გიორგიმ შენ, ბატონს ჩემ ბიძაშვილს იოსებ მდივნისაგან, ოთხი თუმანი ქალაქის ზარაფხანის თეთრი...ზემო ნაწერის თეთრის გირაოთ აჴალდაბას ჩემი ყმის დათას ვენახი და სამი დღის ნაფუზარი ამავ ვენახის ბოლოს" (მასალები.., 1953: 48). 1779 წლის 10 ივნისს გიორგი (გოგია) თუმანიშვილმა ისევ აიღო სესხიბიძაშვილი იოსებისგან და გირაოდ მისცა სოფ. ხელთუბნის მამული: ,,ესე წიგნი მოგეც მე, მდივანმა იოსებ, შენ, ჩემს ბიძაშვილს ბეჟანის შვილს გოგიას, ასე რომ შენი ხელთუბნის მამული სრულათ გირაოთ მომეც და ოცი თუმანი აიღევ თამასუქით... რასაც დროს ჩემი თეთრი მამცე, შენი მამული დაგანებო და თამასუქიც მოგცე" (მასალები.., 1953: 51). 1779 წლის 1 აგვისტოს გოგია თუმანიშვილმა ისევ აიღო სესხი ამჯერად თავისი ბიძის იოსეფ მდივნისაგან. თამასუქში ვკითხულობთ: ,,ავიღე მე თუმანიანთ ბეჟანის შვილმა გოგიამ, შენ ბიძაჩემი იოსეფ მდივნისაგან, ოცი თუმანი ახალი ზარაფხანის თეთრი... რაც ხანს ჩემს ხელთ დაჰყოს, თუმნის თავს სამი შაური სარგებელი მოგცე თვეში. არის ამის გირაოთ ჩემი წილი ყმა და მამული" (მასალები.., 1953: 52).

1782 წლის 8 ივნისის თამასუქის მიხედვით, ნიკოლოზ თუმანიშვილს სესხი აუღია პაპუნა თუმანიშვილისგან (მასალები.., 1953: 57).

თამასუქებზე დაკვირვების შედეგად დგინდება, რომ კრედიტორ თუმანიშვილებს ფეოდალური სახლის წევრები ყოველთვის არ მიმართავდნენ სესხის აღების მიზნით და სხვა მევახშეებთანაც აფორმებდნენ ვალებს. მაგალითად, სულხან მდივნის შვილმა გოგიამ 1767 წლის 15 ივნისს თამასუქი მისცა ვინმე პაპუნაშვილ ზურაბს (მასალები.., 1953: 45). ცნობილ გორელ მევახშეს დავით თუთუნაშვილს თამასუქი მისცეს ძმებმა გოგია და ნიკოლოზ თუმანიშვილებმა 1772 წლის 1 თებერვალს (მასალები.., 1953: 47-48). მევახშე ლაშქარნივის მანუჩარის ბიძაშვილმა ნიკოლოზმა 1790 წლის 1 ნოემბერს თამასუქით ისესხა ფული ტერმოსესაშვილი ზურაბისგან (მასალები.., 1953: 88-89).

1784-1799 წწ. სესხები აქვს აღებული სხვადასხვა მევახშისგან ნიკოლოზ თუმანიშვილს (მასალები.., 1953: 61; 74; 140). იგი აღნიშნულ ვალებს იხსენიებს 1800 წლის ახლო პერიოდში დაწერილ თავის ანდერძში, რომლის წაკითხვის შემდეგ მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ ის არა ანდერძი, არამედ უფრო დანატოვარი ვალების ნუსხაა. სხვათა შორის, როგორც ნიკოლოზი წერს, მას თავისი მეუღლის ვალიც ჰქონია: ,,..ჩემის მეუღლისა (მუხრანბატონის ასული სალომე - რ.მ.) მმართებს ერთი თუმანი, კიდევ მმართებს ცხრა მინალთუნი, კიდევ მმართებს ხუთი ოქრო, თერთმეტ აბაზათ და უზალთუნათ იყო. ესენი სულ ჩემს ავანტყოფობაზე გამომირთმევია და დამიხარჯავს. ეს ყმიდამ და მამულიდამ უნდა ჩემმა ძმებმა მისცენ. თუ ჩემო ძმებო, არ მიეცით, ღმერთთან პასუხი გამეცით სამართალში..." (უჩანეიშვილი, 1967: 138-139). ჩნდება კითხვა: საკრედიტო ოპერაციები თუმანიშვილების ოჯახის წევრთა შორისაც წარმოებდა? მართალია, მოყვანილ ციტატაში თამასუქი არ იხსენიება, მაგრამ შესაძლოა მევახშეობაზე მიუთითებდეს.

ამ მოსაზრებას კიდევ უფრო ამყარებს ჩვენ ხელთ არსებული 1787 წლის 22 ნოემბრის ვალების ნუსხა, რომელშიც ეგნატე თუმანიშვილს ჩამოთვლილი აქვს, მეუღლის კუთვნილი გაყიდული ნივთები: ,,რაც ამ თარიღში მე, ეგნატი მდივანს, ვალი მემართა, ამას ქვეით სწერია. თუ რამ ჩემი მეუღლისა დამიხარჯავს, რომ ჩემი ვალი არის, ყველა ამას ქვეით სწერია", ამ დანახარჯის ანგარიშს ან საფიქრებელია თანასუქით აღებული ვალის ანგარიშს გულისხმობს ეგნატე, როცა იქვე წერს: ,,ჩემი მეუღლისა თეთრი მქონდა სარგებლით აღებული კე (ოცდა ხუთი თუმანი). წელიწადს გაევლო ია. ამის სარგებელი

საქართველოს განწესებით იანგარიშეს ერთი-ორად, იქნა ნ (ორმოცდა ათი თუმანი). ამისი კ (ოცი თუმანი) სახლში მიცემული მაქვს, გირაოთ მიჭირამს....'' (მასალები.., 1953: 74-76).

მიუხედავად იმისა, რომ თუმანიშვილები ცნობილი მევახშეები იყვნენ, თვითონაც სესხულობდნენ ფულს, მათ შორის, ნათესავებისგან. ეს ნათლად ჩანს, 1799 წელს შედგენილ მანუჩარ თუმანიშვილისა და მისი მოყვრის სოლომონას ანგარიშის წიგნიდან, რომელშიც ვკითხულობთ: ,,ჩემი სიმამრის შვილის სოლომონასი და ჩემი ანგარიში ამას ქვეით დაიწერება: რაც ბატონს სოლომონას უნდა მივცე თეთრი ფული: ჲე (65 თუმანი) ქკს უპზ, ამ წლის მკათათვეს ა ერთის თამასუქით ჩემმა ძმამ სულხან და მე უნდა მივცეთ თავისი სარგებლით, თავნია. რაც ბატონი სოლომონასათვის მიმიცია თეთრი ფული: ლ (30 თუმანი) ქკს უპზ, ამ წელს ენკენისთვეს ა, მივე. თავის დას შუშანას (მანუჩარ თუმანიშვილის მეუღლე ხანუმის და - რ.მ.) მივე თავნი ვ (6 თუმანი) ამდენი, თავისის სარგებლით...'' (მასალები.., 1953: 142). ტერ - შმოვანანთ სოლომონასაგან მანუჩარისა და სულხანის მიერ ვალის აღება დასტურდება 1799-1800 წწ. რამდენიმე საბუთითაც (მასალები.., 1953: 146, 152).

1792 წლის 19 ივნისს მდივანმა მანუჩარ თუმანიშვილმა 30 თუმანი ისესხა სარქისაღაშვილი კარაპიტასაგან (სეასცა. 1450-13/59; სეასცა. 1450-22/42).

სულხან და მანუჩარ თუმანიშვილებს 1799 წლის 12 აგვისტოს გადასაპირებელი თამასუქით 1 თვით აუღიათ სესხი და თავდებად დაუყენებიათ კვეზერელი დავითა ,,ავიღე მე, თუმანიშვილმა მდივანმა სულხანმა და ჩემმა ძმამ მანუჩარმა, შენ ბასტამანთ სტეფანასაგან და მუნთუანთ გასპარსაგან, ოცი თუმანი ქალაქის ზარაფხანის ოთხდანგიანი სირმა აბაზი, იქნება ამისი ნახევარი ი თუმანი ამდენი... კვეზერელი დავითა, ამ ზემო ნაწერის ოცი თუმნის თავდები მე ვარ. თუ ვადაზე ეს ოცი თუმანი მდივნებმა არ მოგცენ მე დავითამ მოგცე ვადაზე'' (მასალები.., 1953: 141). XVIII საუკუნის II მეოთხედში მანუჩარ თუმანიშვილის შვილმა გორჯასპიმ თამასუქი მისცა მღებრიშვილ ფარსადანს და ისესხა ,,ერთი თუმანი ახალი თეთრი'' (უჩანეიშვილი, 1967: 53). გორჯასპის მიერ სესხის აღება დასურდება 1767 წლის 1 აპრილის თამასუქითაც (მასალები.., 1953: 44-45).

1810 წლის 1 მაისს დიმიტრი თუმანიშვილმა ოქრომჭედელი დავით პაპუნაშვილისგან ისესხა 11 თუმანი (სეასცა. 1450-55/120).

ზემოთ მოტანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ კრედიტორი თუმანიშვილები არაერთხელ დამდგარან სესხის აღების საჭიროების წინაშე.

ზოგჯერ თუმანიშვილები არღვევდნენ თამასუქის პირობას და არ იხდიდნენ ვალებს. მაგალითად, 1765 წლის 5 მაისს ვინმე გოგია მურადაშვილმა თუმანიშვილებს, რომლებიც ვალს არ იხდიდნენ ერეკლე II-სთან უჩივლა: ,,ღმერთმან ბედნიერის ჴემწიფის ჭირი მოსცეს მათს ფეჴთა მტვერს გოგიას მურადაშვილს. მერმე თუმანისშვილს გოგიას ოთხი მინალთუნი და თოთხმეტი შაური მართებს. თამასუქი მაქვს, კიდევ თუმანიშვილს ფარემუზს - თორმეტი აბაზი...თამასუქი მაქვს...ღმერთი გაგიმარჯვებს, არ მაძლევს...წყალობა მიყავით, რომ ჩემი მამცეს'' (ქართული სამართლის ძეგლები, 1981: 93).

თამასუქის საფუძველზე სესხის გაცემისას არსებობდა ე.წ. ,,ვერცხლის დათქმის'' პრაქტიკა. ნ. ქოიავა აღნიშნავს, რომ ,,XVIII საუკუნის საქართველოში ადგილი ჰქონდა მეფის მიერ მონეტის გაფუჭებას... მონეტის გაფუჭებას მოყვებოდა ფასების ზრდა და ფულის მყიდველობითი უნარის დაცემა. რამდენადაც ვალი ნომინალური იყო, ცხადია, რომ გამსესხებელი მონეტის გაფუჭების შედეგად მიიღებდა ნომინალურად იგივე, მაგრამ რეალურად უფრო მცირე თანხას... ყველა გაურბოდა სესხის გაცემას, რამდენადაც იცოდა, რომ მონეტის გაფუჭება შეამცირებდა გასესხებულ თანხას. დანაკარგის ასაცილებლად თამასუქში აღინიშნებოდა როგორი მონეტები...იყო სესხად გაცემული. მსესხებელს იმგვარივე მონეტები ან მისი ექვივალენტი მონეტები უნდა გაეღო სესხის დაფარვის დროს. ამით აიხსნება ის, რომ მრავალ თამასუქში წერია: ავიღე სესხად ,,ახალი თეთრი''... ,,ახალი

ზარაფხანის ოთხი დანგიანი აბაზი, რომ იქს არის ნახევარი გ (სამ თუმანს) ამდენი და მოგეც ამის გირაო''...ხშირად არის გარჩეული ,,ძველი'' და ,,ახალი'' მონეტა...'' (ქოიავა, 1963: 93-94).

თუმანიშვილებთან დაკავშირებულ თამასუქებზე დაკვირვების შედეგად დგინდება, რომ ისინი გასცემდნენ სესხს ე.წ. ,,ვერცხლის დათქმით''. ეს მიანიშნებს, რომ ისინი საკმაოდ ფრთხილი კრედიტორები იყვნენ. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს. 1792 წელს იოსებ თუმანიშვილმა მსესხებელს ფული შემდეგი პირობით მისცა ,,ორი თუმანი ახალი ზარაფხნის თეთრი ოთხი დანგინი. იქნება ამის ნახევარი ა თუმანი'' (მასალები.., 1953: 96).

თუმცა, ისინი ფულს სესხად თამასუქის გარეშეც გასცემდნენ, რომელსაც ,,ხელათ მოსაცემს'' უწოდებდნენ. მაგალითად, 1782/84 წლის ანგარიშის წიგნში მანუჩარ მდივანი წერს: ,,ბასტამანთ მიღდისი მელქუას შვილი ბატონი სტეფანასი და მე, მანუჩარის, ანგარიში ამას ქვეით დაიწერება თუ თამასუქისა და თუ ხელათ მოსაცემისა...'' (მასალები.., 1953: 64).

ნ. ქოიავას მოსაზრებით, ხშირად სესხი გაიცემოდა გირაოს ქვეშ, რომელსაც საგირაო ერქვა, რომლის დაბრუნება უზრუნველყოფილი იყო არა მოგებით, არამედ ქონებით (ქოიავა, 1963: 87). საგირაო სესხს გასცემდნენ თუმანიშვილებიც, მაგალითად, 1739 წლის 5 ოქტომბრის გირავნობის წიგნში ვკითხულობთ: ,,ესე წიგნი მოგეც...თარხნისშვილმა დავით...მდივანს გორჯასპის, რომე ყევარი ხარი დაგიგირავე ექვსის კვირის ვადითა რვა მინალთუნათ...რომ შენი რვა მინალთუნი მოგივიდეს, ჩემი ხარები მომცე'' (მასალები.., 1953: 28).

ნ. ქოიავას განმარტებით: ,,თუ ქონებით სარგებლობა მსესხებლის ხელში რჩებოდა, მაშინ იგი გამსესხებელს პროცენტს უხდიდა, თუ ქონების შემოსავლით გამსესხებელი სარგებლოდა, მაშინ მსესხებელი მას პროცენტს არ უხდიდა. პროცენტად ითვლებოდა შემოსავალი'' [ქოიავა, 1963: 88]. მაგალითად, 1839 წელს სესხად აღებული 2 200 მანეთი ვერცხლის ფულის სანაცვლოდ ალმასხან გელოვანს დაუგირავებია თავად იოსებ თუმანოვის ასულ მარიამთან ათი მოსახლე ყმა, ამ შემთხვევაში მევახშე თუმანოვი, ფულადი პროცენტის სანაცვლოდ დაკმაყოფილდა დაგირავებული გლეხების სამსახურით და მათგან მიღებული გადასახადებით. თუ მსესხებელი ალმასხან გელოვანი 2 200 მანეთს ვერ გადაიხდიდა სამუდამოდ უფლებას კარგავდა დაგირავებულ 10 მოსახლე ყმაზე, რომლებიც გადადიოდნენ თუმანოვის ასულ მარიამის საკუთრებაში [უჩანეიშვილი, 1967: 198-200].

თუმცა, მევახშე თუმანიშვილებთან გვხვდება ისეთი შემთხვევა, როცა მსესხებელი ვალის დაფარვამდე არ სარგებლობს დაგირავებული ქონებით და პროცენტსაც იხდის. კერძოდ, 1786 წლის 1 ოქტომბერის თამასუქში წერია: ,,ავიღე...თქვენ, სულხან და მანუჩარ მდივნისაგან ხუთი თუმანი...რაც ხანს ჩემს ხელთ დაყოს, თუმნის თავს თვეში ერთი აბაზი სარგებელი მოგცე და ამ ხუთის თუმნის გირაოდ მოგეცი სტეფანე კალატოზი და მეზანდუკე არუთინა, რაც განწესება აძევსთ ამ ჩემს კაცთა წელიწადში, სარგებელიც ამათ გაძლიონ ჩემის განწესებიდამ...'' (მასალები.., 1953: 69-70).

სამართლის წიგნით, სასესხო პროცენტი შეადგენდა 12, 18, 20, 30, 48, 60, 72, 96 და 120-საც კი. თუმცა, იგი გმობდა ასეთი მაღალი პროცენტის აღებას და აწესებდა უკიდურეს ნორმას 12, 18, 24, 30 %-ს. ამასთანავე მიუთითებდა, რომ უმჯობესი იყო მევახშეს პროცენტი არ აეღო. (ქოიავა, 1963: 83-84). როგორც ვხედავთ, სამართლის წიგნი ვერ არეგულირებდა პროცენტს. ჩვენ დავინტერესდით როგორი იყო საპროცენტო განაკვეთი მევახშე თუმანიშვილებთან. პირობითად შერჩეული 1769-1802 წწ. შედგენილი 19 თამასუქიდან, რომელთა საფუძველზეც მევახშე თუმანიშვილებს გასესხებული ჰქონდათ თანხა, 12 თამასუქში ,,თუმნის თავზე'' სარგებელი 2 შაური, 2 თამასუქში ,,თუმნის თავს'' სარგებელი 2,5 შაური, 2 თამასუქში სარგებელი ,,თუმნის თავს'' 3 შაური, ხოლო 3 თამასუქში ,,თუმნის

თავს'' სარგებელი 1 აბაზი იყო (მასალები.., 1953: 45-46, 48-49, 52, 55, 57, 69-71, 79-80, 85, 87-88, 96-98, 107, 141, 166, 168-169; უჩანეიშვილი, 1967: 101-104; სეასცა. 1450-32/20). შეიძლება დავასკვნათ, რომ მევახშე თუმანიშვილებთან საპროცენტო განაკვეთი დაბალი იყო და ერთ თუმანზე 2 შაურიდან 1 აბაზამდე ანუ 1%-2% მერყეობდა. სწორედ დაბალი საპროცენტო განაკვეთი უნდა ჩაითვალოს თუმანიშვილებისადმი მსესხებლების ხშირი მიმართვიანობის მთავარ ფაქტორად.

აღსანიშნავია, რომ მევახშე თუმანიშვილებს, ზოგჯერ მეფეც კარნახობდა თუ რა საპროცენტო განაკვეთით უნდა გაეცათ სესხი ამა თუ იმ პირზე. 1794 წ. 16 მაისს ერეკლე II-მ სულხან თუმანიშვილს უბრძანა გაეცა 200 თუმანი სესხად, რომლის პროცენტი 1 თუმანზე 2 შაური უნდა ყოფილიყო: ,,მდივანო სულხან კურთხეულის ქრისტეფორეს თბილელისა ეკლესიის თეთრი რომ გაბარია იქიდამ სარგებელს გარდა ორასი თუმანი შაქარასა და იოსებს ასესხე ესენი თამასუქს მოგცემენ და ორ შაურობაზე თუმანს სარგებლით დაიწერენ '' (სეასცა. 1448/2519).

რაც შეეხება უპროცენტო სესხს, ჩვენ ვერ დავეთანხმებით მკვლევარ ნ. ქოიავას მოსაზრებას, რომ XVIII საუკუნის საქართველოში არსებობდა უპროცენტო (მეგობრული) სესხი, რომელიც მხოლოდ სამი თვის ვადით გაიცემოდა (ქოიავა, 1963: 87). როგორც ირკვევა, უპროცენტო მეგობრული სესხის ვადა განისაზღვრებოდა ინდივიდუალურად, კრედიტორის და მსესხებლის ურთიერთშეთანხმებით. იგი შეიძლება ყოფილიყო 2-3 თვიანი, 1-2 წლიანი და ა. შ. ამის დასტურად მოვიყვანთ ორ თამასუქს: 1787 წლის 1 აპრილს ქიტესა ამბარდარის მიერ სულხან თუმანიშვილისადმი მიცემულ თამასუქში წერია: ,,ავიღე...ოთხმოცი თუმანი ქალაქის ზარაფხანის ოთხ-დანგიანი სირმა აბაზი... ქვემოთის თარიღიდამ (1787 წლის 1 აპრილი - რ.მ.) ქკს უოვ (1788 წ. - რ.მ.) ამ წლის იანვრის გასვლამდის ვადა. ვადაზედ თქვენი ოთხმოცი თუმანი ულაპარკოდ მოგაბარო. თუ ვადას გადასცილდეს, თვეში თუმნის თავს ორი შაური სარგებელი გაძლიო'' (მასალები.., 1953: 72). 1794 წლის 15 მარტის თამასუქით კი ვინმე ცხინვალელ იარალაანთ ქაიხოსროს შვილმა ტერ-მელიქსეთამ მანუჩარ თუმანიშვილისგან ისესხა 50 თუმანი, რომელიც სამ ნაწილად უნდა გადაეხადა: 20 თუმანი 1794 წლის 15 მარტიდან მაისის ბოლომდე, ხოლო 30 თუმანი 2 წლის განმავლობაში (წელიწადში 15 თუმანი). ვადის გადაცილების შემთხვევაში კი თუმანზე პროცენტით 2 შაური უნდა გადაეხადა (უჩანეიშვილი, 1967: 109).

მევახშე თუმანიშვილებს ხანდახან ვალს არ უბრუნებდნენ, რაც დავის საგანი ხდებობდა. თუმანიშვილები ცდილობდნენ საქმე დავამდე არ მისულიყო. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა მკვლევარ რ. კაშიას დაკვირვება, რომელიც წერს: ,,ვალის ამოღების შემთხვევაში ისინი გარკვეულ თანმიმდევრულობას იცავდნენ. როგორც კი თამასუქის ვადა გავიდოდა, ისინი მევალეს ამის შესახებ წერილობით ატყობინებდნენ, თუ სათანადო პასუხს არ მიიღებდნენ ამ შეტყობინებას რამდენჯერმე იმეორებდნენ და თუ საქმეს მშვიდობიანად ვერ გაარიგებდნენ, მხოლოდ მაშინ მიმართავდნენ ხელისუფლებას '' (კაშია, 2012: 82). მაგალითად, 1793 წლის 20 ივლისის არზით ლაშქარნივისი მანუჩარ თუმანიშვილი ერეკლე II-სთან უჩიოდა ვინმე ჩარჩისშვილ შაქარას თამასუქით განსაზღვრული ფულის გადაუხდელობისთვის (ქართული სამართლის ძეგლები, 1985: 227; საქართველოს სიძველენი, 1910: 532-533).

მანუჩარ თუმანიშვილი ათწლეულების განმავლობაში ცდილობდა ლეონ ბატონიშვილის დანატოვარი ვალების ამოღებას, მაგრამ ამაოდ. ამ საკითხის მოსაგვარებლად მანუჩარმა 1810 წელს რუსეთის იმპერატორსაც მიმართა თხოვნით, რომ ერეკლე II-ის პირობით ლეონ ბატონიშვილის ვალები ანაზღაურებოდა საუფლისწულო ყმა-მამულიდან (ყოფილი არაგვის საერისთავო), რომელსაც იმ დროს ვახტანგ (ალმასხან) ბატონიშვილი ფლობდა. მანუჩარი იმპერატორს წერდა: ,,განსვენებულის მეფის ძეს ლეონ ირაკლევიჩსა ემართა ჩემი ვალად სხვადასხვა ნუსხებითა და ბარათებით სლა (231 თუმანი

- რ.მ.), რომელიცა შემდგომ სიკუდილისა მისისა ბრძანებითა მეფის ირაკლისა იანგარიშეს ძეთა მისთა გიორგი - უკანასკნელმან მეფემან, იულონ, ალმასხან...და მამცეს ბარათი მოცემისათვის ერევნის მახტაზედ, რომელიც იკრიფებოდა მაშინ ხაზინისათვის, გარნა ვერ მიმღებელი მუნითგან ვერაფრისა დავშთი თვინიერ კმაყოფობასა უკან მობრუნებითა ამისთანის ბარათისა, შემდგომად...განსვენებულმან მეფემან ირაკლიმ მიბძანა მე მიღება (იგულისხმება ლეონ ბატონიშვილის ვალები -რ.მ.)... მისგან დარჩომილთა ყმათა მამულთაგან, სახელდობრ არაგვის სამფლობელოთგან, რომელიცა მაშინ იმყოფებოდა სრულსა განგებასა ქვეშე მეფის ძის ვახტანგისა, რომელიცა აწ იმყოფება წმინდას პეტერბულს და გარემოებათაგან საქმითა ვერა მივიღე რა ვერცა არა მისგან... უმაღლესად უბრძანეთ განხილვა ქონებულთა ჩემთა ამა თეთრის რიცხვისათვის საბუთის წერილთა და კმაყოფის მოცემა ჩემი დარჩომილთა ყმათა მამულთაგან ხსენებულის მეფის ძის ლეონისა, რომელიცა მდგომარეობს საქართველოში არაგვის სამფლობელო, ვინაიდგან იმის მიერ თვით მე შთავარდი არა მცირედსა ვალქვეშა...'' (უჩანეიშვილი, 1967: 168).

მანუჩარ თუმანიშვილი ყველა ხერხს მიმართავდა, რომ ბატონიშვილისგან ვალი დაებრუნებინა. იგი 1811 წლის 20 მარტს ბირთველ თუმანიშვილს სთხოვდა ვახტანგ ბატონიშვილის ვალის წერილობით დამოწმებას, რომელსაც შემდეგ საჩივლელად გამოიყენებდა. საბუთს ახლავს ბირთველის მინაწერი: ,,…დედოფლის დარეჯანის სანახავად რომ ჩამობძანდა ტფილისში...საქართველოს მეფის ძე ვახტანგ, იმ ჟამად თან ვახლდი. თქვენ იახელით ავლაბარში და ნახეთ. მეორე დღეს მე მიბრძანა ბიძაშენს მდივანს მანუჩართან მიდი და ჩემს მაგიერ უთხარ, რომ ნუ სწუხარ რომ შენდა მოსაცემი თეთრი ასე დაგიგვანე. ღვთის მოწყალებით თუ მშვიდობა მექნება, ვეცდები რომ მალე მოგცე მოსაცემს ვარო...'' (მასალები.., 1953: 195). 1812 წლის 20 მარტს მანუჩარი ვრცელი წერილით ვახტანგ ბატონიშვილს ვალების დაბრუნებას სთხოვდა თუმცა, იგი ამას უარყოფდა (მასალები.., 1953: 196-200).

ნ. ქოიავა აღნიშნავს, რომ: ,,ვალის დროზე არდაფარვა იწვევდა ვალის აღებას იძულებითი წესით, თუ მსესხებელი არ აბრუნებდა ან ვერ უბრუნებდა გამსესხებელს ფულს, მაშინ სესხის დაფარვის უშუალო წყარო იყო მსესხებლის მოძრავი ან უძრავი ქონება და თვითონ გამსესხებელიც კი'' (ქოიავა, 1963: 95). ამ გზით მევახშე თუმანიშვილების ხელში დიდი ქონება იყრიდა თავს. 1711 წლის 10 აგვისტოს საბუთის თანახმად, ,,მექვაბე პეტროზას შვილი ესტატეს შვილმა ზურაბამ'' ყალანდარ თუმანიშვილს მისცა ნასყიდობის წიგნი რადგან ,,მამაჩემს ესტატეს შენი თეთრი ემართა სხვა ფერად ღონე ვერსადა ვაქენი მამაჩემსაც თქვენთვინ მოეცა დუქანი და სახლიც მეც მოგყიდე როსტევანანთეული დუქანი გამოგართვი ფასი უკალებლივ'' (სეასცა. 1450-3/64).

ზოგიერთ შემთხვევაში მევალეები სესხს ნატურით ან გარკვეული სამუშაოს შესრულებით ფარავდნენ. ამის დასტურად მოვიყვანთ რამდენიმე დოკუმენტს, მაგ. 1792 წლის 1 იანვარს ვინმე მინას თარხანოვის მიერ მანუჩარ თუმანიშვილისათვის ვალში მისაცემი საქონლის სიაში ვკითხულობთ: ,,ქვემო ნაწერი რაც საქონელი მივაბარო ბატონს მანუჩარ მდივანს, რომ ჩვენი კუთნისა(?) მეფის პ (ოთხმოცი თუმანი) ამდენი ვალის თანხაში მისცეს, როგორც ბევრი ფასი და ზომა არის...'' ამის შემდეგ დეტალურად ჩამოთვლილია ვალის შესაბამისი ღირებულების საქონელი (მასალები.., 1953: 94).

შ. თუმანიშვილის ვალი - 3600 ვერცხლის მანეთი ჰქონდა ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის ასულ სოფიოს. ვალის დასაფარავად გორის მაზრაში იყიდებოდა სოფიოს კუთვნილი 54 ყმა-გლეხი მათი ქონებით - 7 ვენახი, 33 დესეტინა სახნავი მიწა, 2 წისქვილი და 15 წყვილი მსხვილფეხა პირუტყვი. ყველაფერი ეს შეფასებული იყო 2100 ვერცხლის მანეთად (მამისთვალიშვილი, 2018ბ: 316).

თუმანიშვილებისაგან აღებული სესხების დაფარვის მიზნით მევალეები იძულებულები იყვნენ, რომ ყმა-მამული გაეყიდათ. 1819 წელს ,,საქართველოს გაზეთი'' ხშირად წერდა,

რომ თბილისში კოლლეჟსკის რეღისტრატორის მიზანდაროვის მამული მარიამ თუმანოვის ვალში უნდა გაყიდულიყო მარტში (საქართველოს გაზეთი, 1819: # 1/3), აპრილში (საქართველოს გაზეთი, 1819: # 8/31) და ივნისში (საქართველოს გაზეთი, 1819: # 15: 59-60). გორში სახლის ადგილი ვინმე ფერშანგოვისა სოვეტნიკი თავადის შიოშ თუმანოვის ვალში უნდა გაყიდულიყო 28 მარტს, 14, 17 აპრილს (საქართველოს გაზეთი, 1819: # 2/7), 20, 28 და 30 ივნისს (საქართველოს გაზეთი, 1819: # 14/54).

1819 წლის 27 ივნისს საქართველოს გაზეთი წერდა: ,,ისპოლნიტელნის ექსპედიციისაგან მოწოდებულნი არიან ქვემო ჰხსენებულის მამულების სყიდვის მოწადენი, რადგან იგინი საკუთარის ვალების მიუცემლობისთჳს დადებულნი არიან საქვეყნოდ გასასყიდად" ...მათი გაყიდვის ვადა.. ,,გარდაცვალებულის თავადის გოგია მაჩაბლის ყმები ხიზანიშვილები გორის უეზდის სოფელს ვარიანს მცხოვრებნი, რომელნიც არიან ოთხი მამაკაცი და ორი დედაკაცი, სრულიად თავიანთ მამულით გორის უეზდის სუდის გარდაწყვეტილბით იმ ვალში, რომელიც ჰმართებია მას ნადვორნის სოვეტნიკის თავადის შიოშ თუმანოვისა, მათი გასყიდვის ვადა დანიშნული არის ი იზ და ით ივლისს" (საქართველოს გაზეთი, 1819: # 17/65).

არსებობს ფაქტები, როცა მსესხებელი ვალს ვერ იხდიდა და დამატებით სესხად კვლავ ახალ თანხას იღებდა. ეს, ფაქტობრივად, მევახშის ფინანსურ კაბალაში აქცევდა მევალეს. მაგალითად, ვახტანგ ყაფლანიშვილი 2 წლის განმავლობაში იღებდა უვადო სესხს თუმანიშვილებისგან. მას 1791 წლის 2 აგვისტოს თამასუქით 30 თუმანი ჰქონდა ძველი ვალი და დამატებით აიღო 3 თუმანი, 1792 წლის 15 იანვარს ძველი ვალი იყო 40 თუმანი და დამატებით აიღო 2 თუმანი, 1792 წლის 26 მარტს ძველი ვალი ჰქონდა 42 თუმანი და დამატებით აიღო 8 თუმანი, 1792 წლის 2 ოქტომბერს ძველ ვალს 50 თუმანს მიამატა ახალი ვალი 3 თუმანი. თუმცა ყველა აღნიშნულ თამასუქს აქვს ვალის დაფარვის დამადასტურებელი გვიანდელი ხანის მინაწერები (მასალები.., 1953: 91, 96; უჩანეიშვილი, 1967: 101-104).

1795 წლის 15 ივლისის თამასუქით გარკვეულ კაბალურ მდგომარეობაშია მოქცეული ერთ-ერთი ხელოსანი, რადგან მანუჩარ თუმანიშვილისაგან ნაქირავები სახლის ქირას მისგან აღებული სესხით ფარავს (მასალები.., 1953: 116-117).

აღსანიშნავია, რომ მევახშეთა შორის არსებობდა საქმიანი მიმოწერა. როგორც ჩანს, სამევახშეო საკითხებში თანამშრომლობდნენ მანუჩარ თუმანიშვილი და ცნობილი გორელი მევახშე დავით თუთუნაშვილი. 1787 წლის 22 აპრილს მანუჩარმა დავითს გაუგზავნა თამასუქების ნუსხა წერილით, რომელშიც მევალეებთან ფინანსურ საკითხებში დახმარება სთხოვა და მათთან ურთიერთობისას მისცა გარკვეულ რჩევები. კერძოდ, მანუჩარი წერილში წერდა: ,,ბატონო დავით თუთუნაშვილო, შენის მოწერილის წიგნების პასუხი სულ მამიწერია და იქიდამა სცნობ ლელუასშვილის ვალებსა. ამას წინათაც ამ რიგათ მამიწერია... ამ ჩემს მოწერილობაზე მეტს ნურას იმოქმედებ, რომ ჩემის მსახურის ალექსისათვისაც დამიბარებია, ისიც გნახავს ჩემს დაბარებულობას გიანბობს... ამ სიაში მოხსენებული მოვალეებისა როგორც ამამიწერია და ამაში გიცხადებს, თუ ასე დასჯერდნენ, მიეც და და თამასუქები დაიხსენ. რაც ამაში არ მამიწერია, მეტის მიცემისა მე ყაბული არა მაქვს. ამას გარდა მოვალეებისათვის მე მიმიცია და თუ არის ვინმე დარჩომილი, იმათიც მე ვიცი, შენ საქმე არა გაქვს... თეთრებისა გეკითხა, რომლის თეთრისა მივცეო. საიდამაც მისცემ, ჩემი თეთრი იქნება, რა თაფაუთი ექნება? ჯერ რაც შენთან თეთრია, ეგ მიეც ამ მოვალეებს. თუ დაგაკლდეს, მას უკან ბურნუთოს იჯარადრის თამასუქი რომ გაქვს, იქიდამ მიეც. თუ გინდა სურსათის პურის თეთრიდამ მიეც. კიდევაც მამიწერია და ახლაცა გწერ, რომ გაბრიელ ლელუასშვილის ხელში თეთრი არ ჩააგდო, რომ ყაბული არა მაქვს. თუ აქ ხსენებული თამასუქები ვერ დაიხსნა, შენთან ორ-სამ რიგობა თეთრი არის, თუ აქედამ გამოგზავნილი და თუნდ მანდ აღებული. თამასუქების თეთრიც

სარგებლით აიღე და გამომიგზავნე. ამაზე გაირჯები, მაგრამ მეც შენს საქმეზე გარჯით გარდავიხდი და ან სამსახურით მოგიმადლებ'' (მასალები.., 1953: 73).

დასკვნა.

ამრიგად, მოძიებული წყაროებისა და ლიტერატურის საფუძველზე წარმოებულმა კვლევამ აჩვენა, რომ XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან XIX საუკუნის 30-იან წლებში თუმანიშვილების ფეოდალური სახლის ათეულობით წარმომადგენელი აქტიურად იყო ჩართული ქართლ-კახეთის ფულად-სასაქონლო ურთიერთობების განვითარებაში. კრედიტორი თუმანიშვილები თამასუქით გასცემდნენ ფულს მსესხებლებისათვის ხელსაყრელი, მისაღები პროცენტით, რასაც აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებში მიმართვიანობა უნდა გაეზარდა. თუმანიშვილების საკუთრებაში გადადიოდა კაბალურ მდგომარეობაში მყოფი მევალეთა დაგირავებული ქონება, რაც ზემოთ მოტანილი არაერთი საბუთით დასტურდება. ამ მხრივ თუმანიშვილებმა დიდი კაპიტალის დაბანდება მოახერხეს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

აკოფაშვილი, გ. (1980). გვიანფეოდალური ხანის საწყისები საქართველოში. *საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები.* III. თბილისი: მეცნიერება.

ბერძნიშვილი, მ. (1965). მასალები XVIII საუკუნის ბოლო წლების საქართველოს ისტორიიდან (ეპისტოლარული მასალა). *ქართული წყაროთმცოდნეობა.* I. თბილისი: მეცნიერება.

გაზეთი *,,საქართველოს გაზეთი".* (1819). # 1, ტფილისი

გაზეთი *,,საქართველოს გაზეთი".* (1819). # 2, ტფილისი

გაზეთი *,,საქართველოს გაზეთი*". (1819). # 8, ტფილისი

გაზეთი *,,საქართველოს გაზეთი".* (1819). # 14, ტფილისი

გაზეთი *,,საქართველოს გაზეთი".* (1819). # 15, ტფილისი

გაზეთი *,,საქართველოს გაზეთი".* (1819). # 17, ტფილისი

გვრიტიშვილი, დ. (1954). *გორის ისტორია.* თბილისი.

კაშია, რ. (1990). სავაჭრო ,,ამხანაგობები'' XVIII საუკუნის საქართველოში, *მაცნე ისტორიის ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია.* № 2. თბილისი: მეცნიერება.

კაშია, რ. (2006). სამეფო ხელისუფლება და ახალი თაობის აზნაურები XVIII საუკუნის საქართველოში. *ქუთაისის ხელოვნებისა და პედაგოგიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული ,,ხანძთა".* № 4. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

კაშია, რ. (2012), სესხი და კრედიტი XVIII საუკუნის საქართველოში. *ქართველური მემკვიდრეობა, XVI.* ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მამისთვალიშვილი, ელ. (2018)ა. *გორის ისტორია.* წ. I. თბილისი.

მამისთვალიშვილი, ელ. (2018)ბ. *გორის ისტორია.* (1801-1921). წ. II. თბილისი.

მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, I (1938). მასალები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა. თბილისი: სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, II (1953). მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა ნ. ბერძენიშვილმა. თბილისი: სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მესხია, შ. (1983). საისტორიო ძიებანი, ტ. II, თბილისი.

პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II (1993). XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზდეს დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ თბილისი: მეცნიერება.

სანაძე. მ. კაშია. რ., (1992). ფეოდალური არისტოკრატია და პირველადი კაპიტალის დაგროვების პროცესი XVIII ს-ის საქართველოში (თუმანიშვილის საგვარეულო). *მაცნე ისტორიის ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია. № 1.* თბილისი: მეცნიერება.

საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 1448, საბ. 1389.

საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 1448, საბ. 2519.

საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 1448, საბ. 3009.

საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 1448, საბ. 6645.

საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 1450, დავთ. 3, საბ. 64.

საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 1450, დავთ. 13, საბ. 59.

საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 1450, დავთ. 22, საბ. 42.

საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 1450, დავთ. 32, საბ. 20.

საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 1450, დავთ. 25, საბ. 5.

საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 1450, დავთ. 25, საბ. 112.

საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 1450, დავთ. 41, საბ. 160.

საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 147.

საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 1450, დავთ. 46, საბ. 190.

საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 1450, დავთ. 52, საბ. 110.

საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 1450, დავთ. 55, საბ. 120.

საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 1450, დავთ. 56, საბ. 104.

საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი. ფ. 1450, დავთ. 56, საბ. 105.

საქართველოს სიძველენი, III (1910). ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფილისი: საქართველოს საისტოგრაფიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა.

უჩანეიშვილი, დ. (1967) *დოკუმენტები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისთვის (XVII-XIX ს.ს.).* თბილისი.

ქართული სამართლის ძეგლები, IV. (1972). სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.) ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება.

ქართული სამართლის ძეგლები, VII (1981). სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა, შენიშვნები დაურთო პროფ. ი დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება.

ქართული სამართლის ძეგლები, VIII (1985). სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი დოლიძემ. თბილისი: მეცნიერება.

ქოიავა, ნ. (1963). *ფულის მიმოქცევა, კრედიტი და ფინანსები XVIII საუკუნის ქართლ-კახეთში.* თბილისი.

REFERENCES

ak'opashvili, g. (1980). gvianpeodaluri khanis sats'qisebi sakartveloshi. sakartvelos peodaluri khanis ist'oriis sak'itkhebi [The beginnings of the late feudal era in Georgia. Issues of the history of the feudal era of Georgia] III. Tbilisi: metsniereba.

berdznishvili, m. (1965). masalebi XVIII sauk'unis bolo ts'lebis sakartvelos ist'oriidan (ep'ist'olaruli masala). [Materials from the history of Georgia in the last years of the XVIII century (epistolary material]. kartuli ts'qarotmtsodneoba.[Georgian Source Studies] II. Tbilisi; metsniereba

gazeti ,,sakartvelos gazeti". (1819). [Newspaper "Georgian Newspaper"] # 1, Tpilisi

gazeti ,,sakartvelos gazeti". (1819). [Newspaper "Georgian Newspaper"] # 2, Tpilisi

gazeti ,,sakartvelos gazeti". (1819). [Newspaper "Georgian Newspaper"] # 8, Tpilisi

gazeti ,,sakartvelos gazeti". (1819). [Newspaper "Georgian Newspaper"] # 14, Tpilisi

gazeti ,,sakartvelos gazeti". (1819). [Newspaper "Georgian Newspaper"] # 15, Tpilisi

gazeti ,,sakartvelos gazeti". (1819). [Newspaper "Georgian Newspaper"] # 17, Tpilisi

gvrit'ishvili, d. (1954). goris ist'oria. [History of Gori.] . Tbilisi.

k'ashia, r. (1990). savach'ro ,,amkhanagobebi" XVIII sauk'unis sakartveloshi, [Trade "Partnerships" in 18th Century Georgia] matsne ist'oriis etnograpiisa da khelovnebis ist'oriis seria. [Herald History Ethnography and Art History Series.] № 2. Tbilisi: metsniereba.

k'ashia, r. (2006). samepo khelisupleba da akhali taobis aznaurebi XVIII sauk'unis sakartveloshi. [Royal government and a new generation of gentry in 18th century Georgia] kutaisis khelovnebisa da p'edagogik'is inst'it'ut'is sametsniero shromebis k'rebuli ,,khandzta". [Collection of scientific works of Kutaisi Institute of Art and Pedagogy "Khandzta"] № 4. Kutaisi: akaki tseretlis sakhelobis universitetis gamomtsemloba.

k'ashia, r. (2012), seskhi da k'redit'i XVIII sauk'unis sakartveloshi. [Loan and credit in 18th century Georgia] kartveluri memk'vidreoba [Kartvelian Heritage]. XVI. Kutaisi: akaki tseretlis sakhelobis universitetis gamomtsemloba.

mamistvalishvili, el. (2018)a. goris ist'oria. [History of Gori.] I. Tbilisi

mamistvalishvili, el. (2018)b. goris ist'oria. (1801-1921). [History of Gori. (1801-1921)] II. Tbilisi

masalebi sakartvelos ek'onomik'uri ist'oriisatvis, [Materials for the Economic History of Georgia] I (1938). Materials were selected and published by N. Berdzenishvili. Tbilisi: Stalinis sakhelobis sakhelmtsipo universitetis gamomtsemloba.

masalebi sakartvelos ek'onomik'uri ist'oriisatvis, [Materials for the Economic History of Georgia] II (1953). Materials were selected and published by N. Berdzenishvili. Tbilisi: Stalinis sakhelobis sakhelmtsipo universitetis gamomtsemloba.

meskhia, sh. (1983). saist'orio dziebani, [Historical Research] II. Tbilisi.

p'irta anot'irebuli leksik'oni, [Annotated Dictionary of Persons] II (1993). XI-XVII centuries. According to Georgian historical documents, was prepared for publication by D. Kldiashvili, M. Surguladze. Tbilisi: metsniereba.

sanadze. m. k'ashia. r., (1992). peodaluri arist'ok'rat'ia da p'irveladi k'ap'it'alis dagrovebis p'rotsesi XVIII s-is sakartveloshi (tumanishvilis sagvareulo). [Feudal aristocracy and the process of accumulating primary capital in Georgia in the XVIII century (Tumanishvili family).] matsne ist'oriis etnograpiisa da khelovnebis ist'oriis seria [Herald History Ethnography and Art History Series] № 1. Tbilisi: metsniereba.

sakartvelos erovnuli arkivi. saist'orio tsent'raluri arkivi. p. 1448, sab. 1389. National Archives of Georgia. Central Historical Archive. F. 1448, Doc. 1389.

sakartvelos erovnuli arkivi. saist'orio tsent'raluri arkivi. p. 1448, sab. 2519. National Archives of Georgia. Central Historical Archive. F. 1448, Doc. 2519.

sakartvelos erovnuli arkivi. saist'orio tsent'raluri arkivi. p. 1448, sab. 3009. National Archives of Georgia. Central Historical Archive. F. 1448, Doc. 3009.

sakartvelos erovnuli arkivi. saist'orio tsent'raluri arkivi. p. 1448, sab. 6645. National Archives of Georgia. Central Historical Archive. F. 1448, Doc. 6645.

sakartvelos erovnuli arkivi. saist'orio tsent'raluri arkivi. p. 1450, davt. 3, sab. 64. National Archives of Georgia. Central Historical Archive. F. 1450, B. 3, Doc. 64.

sakartvelos erovnuli arkivi. saist'orio tsent'raluri arkivi. p. 1450, davt. 13, sab. 59. National Archives of Georgia. Central Historical Archive. F. 1450, B. 13, Doc. 59.

sakartvelos erovnuli arkivi. saist'orio tsent'raluri arkivi. p. 1450, davt. 22, sab. 42. National Archives of Georgia. Central Historical Archive. F. 1450, B. 22, Doc. 42.

sakartvelos erovnuli arkivi. saist'orio tsent'raluri arkivi. p. 1450, davt. 32, sab. 20. National Archives of Georgia. Central Historical Archive. F. 1450, B. 32, Doc. 20.

sakartvelos erovnuli arkivi. saist'orio tsent'raluri arkivi. p. 1450, davt. 25, sab. 5. National Archives of Georgia. Central Historical Archive. F. 1450, B. 25, Doc. 5.

sakartvelos erovnuli arkivi. saist'orio tsent'raluri arkivi. p. 1450, davt. 25, sab. 112. National Archives of Georgia. Central Historical Archive. F. 1450, B. 25, Doc. 112.

sakartvelos erovnuli arkivi. saist'orio tsent'raluri arkivi. p. 1450, davt. 41, sab. 160. National Archives of Georgia. Central Historical Archive. F. 1450, B. 41, Doc. 160.

sakartvelos erovnuli arkivi. saist'orio tsent'raluri arkivi. p. 1450, davt. 46, sab. 147. National Archives of Georgia. Central Historical Archive. F. 1450, B. 46, Doc. 147.

sakartvelos erovnuli arkivi. saist'orio tsent'raluri arkivi. p. 1450, davt. 46, sab. 190. National Archives of Georgia. Central Historical Archive. F. 1450, B. 46, Doc. 190.

sakartvelos erovnuli arkivi. saist'orio tsent'raluri arkivi. p. 1450, davt. 52, sab. 110. National Archives of Georgia. Central Historical Archive. F. 1450, B. 52, Doc. 110.

sakartvelos erovnuli arkivi. saist'orio tsent'raluri arkivi. p. 1450, davt. 55, sab. 120. National Archives of Georgia. Central Historical Archive. F. 1450, B. 55, Doc. 120.

sakartvelos erovnuli arkivi. saist'orio tsent'raluri arkivi. p. 1450, davt. 3, sab. 64. National Archives of Georgia. Central Historical Archive. F. 1450, B. 56, Doc. 104.

sakartvelos erovnuli arkivi. saist'orio tsent'raluri arkivi. p. 1450, davt. 56, sab. 105. National Archives of Georgia. Central Historical Archive. F. 1450, B. 56, Doc. 105.

sakartvelos sidzveleni, [Antiquities of Georgia,] III (1910). Edited by Ek. Takaishvili. Tpilisi: sakartvelos saistograpio da saetnograpio sazogadoebis gamotsema.

uchaneishvili, d. (1967). dok'ument'ebi sakartvelos ek'onomik'uri ist'oriistvis (XVII-XIX s.s.) [Documents for the Economic History of Georgia (XVII-XIX centuries)]. Tbilisi.

kartuli samartlis dzeglebi, [Monuments of Georgian Law], IV (1972). sasamartlo ganchinebani (XVI-XVIII ss.) [Court rulings (XVI-XVIII centuries)] published texts, attached notes and searches to prof. I. Dolidze. Tbilisi: metsniereba.

kartuli samartlis dzeglebi, [Monuments of Georgian Law], VII (1981). sasamartlo arza-okmebi, [Court documents], texts published, foreword, remarks attached by prof. I. Dolidze. Tbilisi: metsniereba.

kartuli samartlis dzeglebi, [Monuments of Georgian Law], VIII (1985). sasamartlo arza-okmebi da k'erdzo-samartlebrivi akt'ebi, [Court documents and private legal acts], texts published, notes and searches attached to prof. I. Dolidze. Tbilisi: metsniereba.

koiava, n. (1963). pulis mimoktseva, k'redit'i da pinansebi XVIII sauk'unis kartl-k'akhetshi, [Money Circulation, Credit and Finance in 18th Century Kartli-Kakheti]. Tbilisi.